

ქორიონული გონადოტროპინი BhCG

ქორიონული გონადოტროპინი (BhCG) არის პლაცენტის მიერ წარმოქმნილი ჰორმონი. ჩვეულებრივ, მისი დონე სწრაფად იმატებს ორსულობის პირველ ტრიმესტრში, მერე კი თანდათანობით კლებულობს და მშობიარობიდან რამოდენიმე კვირის შემდეგ, მისი აღმოჩენა სისხლში აღარ ხერხდება.

BhCG-ის მოლეკულა ალფა და ბეტა სუბერთეულებისგან შედგება. ალფა სუბერთეული საერთოა გლიკოპროტეინული ჰორმონების ოჯახის ყველა წევრისთვის (LH, TSH, FSH, hCG), ბეტა სუბერთეული კი hCG-სთვის უნიკალურია.

BhCG ხელს უშლის ყვითელი სხეულის დესტრუქციას, რაც აუცილებელია ფეხმძიმობის შენარჩუნებისათვის.

რატომ კეთდება BhCG-ის ტესტი?

ეს ტესტი ტარდება ორსულობის გამოსავლენად. BhCG-ის ტესტი ასევე ინიშნება, როდესაც ეჭვი აქვთ შემდეგ მდგომარეობებზე:

- ექტოპიური ორსულობა
- სპონტანური აბორტი
- სათესლე ჯირკვლების კიბო
- საკვერცხეების კიბო
- გესტაციური ტროფობლასტური დაავადება
- დაუნის სინდრომის მქონე ნაყოფი (ამ შემთხვევაში, BhCG-ის ანალიზი სხვა სკრინინგ ტესტებთან ერთად ტარდება)

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

BhCG-ის აღმოჩენა შეიძლება როგორც სისხლში, ასევე შარდში. მაგრამ შარდის ანალიზის პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი ან უაროვითი; ჰორმონის ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა მისი საშუალებით არ ხერხდება.

BhCG-ის დონის დასადგენად საჭიროა ვენური სისხლის აღება. ტესტისთვის სპეციალური მომზადება საჭირო არ არის.

რას ნიშნავს მონატებული BhCG?

არაორსულ ქალებში BhCG-ის აღმოჩენა არ ხერხდება. შესაბამისად, ტესტის დადებითი პასუხი ძირითადად ფეხმძიმობით არის განპირობებული.

BhCG-ის მაღალი დონე შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- ორსულობა
- ერთზე მეტი ნაყოფი
- გესტაციური ტროფობლასტური დაავადება
- ქორიოკარცინომა
- ნაყოფი დაუნის სინდრომით
- საკვერცხეების კიბო
- სათესლე ჯირკვლების კიბო
- სპორტსმენ მამაკაცებში BhCG-ის მომატებული დონე შეიძლება დოპინგზე მიუთითებდეს

რას ნიშნავს დაბალი BhCG?

BhCG-ის დაბალი მაჩვენებლები შეიძლება გამოიწვიოს:

- ნაყოფის სიკვდილმა
- მოსალოდნელმა სპონტანურმა აბორტმა
- ექტოპიურმა ორსულობამ
- ანემბრიონულმა ორსულობამ

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

სხვა დასახელება არ გააჩნია.

საჭირო ინფორმაცია

- ზოგიერთმა მედიკამენტმა ტესტის შედეგებზე შეიძლება იქონიოს გავლენა
- BhCG-ის ერთჯერადი ტესტირება ხშირად არ არის საკმარისი დიაგნოზის დასასმელად, ამიტომ ამ ანალიზის ჩატარება შეიძლება რამდენჯერმე გახდეს საჭირო.